საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 267 2017 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №572 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №572 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2016, 010240030.10.003.019639) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) ამტკიცებს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის ანგარიშის შედგენის მეთოდური მითითებების შესახებ ინსტრუქციებს;“.

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 10104
02 06 2017

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“ ქვეპუნქტი:

„ყ) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი